

ქალაქ ქუთაისში, შარგავას ქუჩა N2–37 საცხოვრებელი სახლის  
N37 ბინის 1/2 ნაწილზე, მოქალაქე სვეტლანა კულჩენკოსათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა შარგავას ქუჩა N2–37 საცხოვრებელი სახლის N37 ბინაში მცხოვრები მოქალაქე სვეტლანა კულჩენკოს წარმომადგენლის ნონა ნერგაძის განცხადება /2012 წლის 30.11 N6–9904/, რითაც ითხოვს საცხოვრებელი ბინის 1/2 ნაწილზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, შარგავას ქუჩა N2–37 საცხოვრებელი სახლის N37 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე სვეტლანა კულჩენკოს სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, შარგავას ქუჩა N2–37 საცხოვრებელი სახლის N37 ბინის 1/2 ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე სვეტლანა კულჩენკოს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, შარგავას ქუჩა N2–37 საცხოვრებელი სახლის N37 ბინის 1/2 ნაწილზე /საერთო ფართობი 39,77 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,74 კვ.მ, დამხმარე ფართობი 23,03 კვ.მ./ მოქალაქე სვეტლანა კულჩენკოს სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე